დანართი 1
დამტკიცებულია
ივ. ჯავახიშვილის
სახელობის
თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტის
2010 წლის „ 13 „ 07
№ 161/02-01
ბრძანებით

**§ 1. კონკურსის მიზანი**

1. კონკურსის მიზანია თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამოქალაქო მშენებლობის სფეროში სპეციალისტის შერჩევა.
2. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით იქმნება კომისია.

**§ 2. კომისიის შემადგენლობა**

1. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი;

**§ 3. საკონკურსო კომისიის ფუნქციები**

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

საკონკურსო პროცედურის ორგანიზაცია დადგენილი წესების შესაბამისად;

საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს კონკურსანტი გასაუბრებაზე;

**§ 4. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი**

1. კომისია კონკურსანტის დაუსწრებლად აფასებს მის მონაცემთა შესაბამისობას ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამოქალაქო მშენებლობის სფეროში სპეციალისტის თანამდებობრივ მოთხოვნებთან.
2. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის წევრს არ აქვს უფლება თავისი ხმა გადასცეს კომისიის სხვა წევრს.
3. კონკრეტულ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.
4. იმ კანდიდატების მიმართ, რომლებმაც თანაბარი ხმები მიიღეს, კენჭისყრა ეწყობა ხელახლა.
5. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
6. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ სპეციალისტთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

**§ 5. დავების გადაწყვეტა**

1. კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.